შაბათი 26 ენკენ. | ფასი 10 კ. | № 39—1915

მიიღება ხელმოწერა ჟურნალზე „თეატრი და ცხოვრება“
წლიურად 5 მ., ნახ. წ. 3 მ., 1 თვ. 40 კაპ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ Ред. „Театри да Цховреба“ І. Имедашвили

მ. ი. უ. ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე მეფის ნაცვალი და კავკასიის ჯართა მთავარსარდალი, თბილისს ჩამობძანდა 23 ენკენისთვეს.

19 ენკენისთვე

სახალხო თეატრისკენ

თუ მთა არ მოდის, წინ მიდი, მასთან დაახლოვება თუ გინდაო, იტყვიან.

ამ მცნებას რომ მივსდევდეთ, აქამდე ბევრ დაბრკოლებას გადავლახვდით და არც ჩვენი თეატრი მოექცეოდა მოჯადოებულ მახეში: მსახიობნი გვყვანან, სეზონი არ გვაქვს, ხელოვანნი მოგვეპოებიან, მხატვრულ წარმოდგენეს კი ვერა ვხედავთ...

მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი კერა დაგვენთქა...

და იმის მაგიერ, რომ თვითმოქმედების უნარი გამოვიჩინოთ, ახალი გზა ვსძებნოთ, საგლახაოდ გაგვიწოდებია ხელი...

საბედნიეროდ თბილისში დიდიხანია ხალხის ჭეშმარიტმა შვილებმა შექმნეს სახალხო თეატრი, რომელმაც განუზომელი ღვაწლი დასდო ჩვენი ერის გათვითცნობიერებას.

დღესაც ეს თეატრი პირნათლად ემსახურება თავის მიზანს, მაგრამ ვინ არ იცის,

რომ სცენის მოყვარულეთა საუკეთესო ძალის ნაკლებობა ხშირად აუფერულებს წარმოდგენებს!

ხალხი ესთეტიურად მომწიფდა, მსოფლმხედველობა გაუფართოვდა, გემო განუვითარდა და მის სულს ვეღარ აკმაყოფილებს მხატვრულობას მოკლებული წარმოდგენა.

ორიოდე ნიჭიერ სცენის მოყვარესთან და შემთხვევით მოწვეულ ამა თუ იმ ხელოვან მსახიობთან ერთად ძალაუნებურად მონაწილეობენ უხამსი »სცენის მოყვარე-მსახიობნი« და ეს მაშინ, როდესაც მელპომენის ჭეშმარიტი ქურუმნი უსაქმურად არიან, სცენას განშორდნენ ანუ ლუკმა-პურის მოპოების სურვილით აქა-იქ კლუბთა ფუქსავატურ პიესებში ჰკარგვენ თვის ძალღონეს..

სახალხო თეატრის მესვეურთა მიზანია ხალხის სამსახური საუკეთესოდ მოწყობილი წარმოდგენებით, მაგრამ თვისი მცირე შემოსავლით როგორ შესძლებენ საჭირო ძალთა მოწვევასა და წარმოდგენის სხვაფრივ გაუმჯობესებას, როდესაც ხშირად აუცილებელ ხარჯებსაც ვერ ჰფარავენ.

ქართ. დრამ. საზოგადოების გამგეობამ სწორედ აქ უნდა გამოიჩინოს ფხა და ხალხისკენ ნაბიჯი გადასდგას, თუ ქართული თეატრის მესვეურობა და ხალხის სამსახური ლიტონ სიტყვად არ მიაჩნია:—სახალხო თეატრს გაუჩინოს სუბსიდია, რომ მან შესძლოს საუკეთესო მსახიობთა მოწვევა, სასურველი პიესების მოპოება და სხვაფრივ წარმოდგენების რიგიანად დადგმა, ისე კი რომ ადგილების ფასებს არამც და არამც არ მოემატოს: »ჩვენონ ხალხს იდეურ-მხატვრულად მოწყობილი წარმოდგენები სახალხო ფასებით.

ჩვენ გვგონია, ასეთი გზით უფრო დიდ სამსახურს გაუწევენ ქართველ ხალხს, სამშობლო სცენასა და მის ჭეშმარიტ ქურუმსაც, როგორც სახალხო თეატრის მესვეურნი, ისევე ქართული დრამ. საზოგადოება.

გაჭირვებამ გაიცა გაჭირვებამ გაქცევა უკარნახ ჩვენ მსახიობთა ერთ ნაწილს: მათ, შალვა დადიანისთაოსნობით, ამხანაგობა შეადგინეს ქუთაისში წარმოდგენების სამართავად...

ეს ის შალვა დადიანია... მაგრამ ვინ არ იცნობს ჩვენს მწერალს, მსახიობს, რეჟისორს, „მოგზაური დასის“ პიონერსა და სრულიად საქართველოს პირველი ყრილობის ერთ მეთაურთაგანს...

დიაღ, დღეს, როდესაც დრამ. საზ. გამგეობანი განზე გადგნენ, ამ ერთმა კაცმა ითავა დასის შედგენა, რომ მის საყვარელ ტაძარში არ ჩაქრეს კანდელი...

დასიც ისეთ ძალთგანაა შედგენილი, რომ ამ თ. ვითვე ნაყოფიერ მუშაობის სანუგეშო იმედს იძლევა...

კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ ქართულ დრამ. დასს დღევანდელ პირობებში უფრო დიდი ეროვნულ-კულტურული იდეური მუშაობა ევალება, და ეს არ უნდა დავივიწყოთ... დასმა უნდა გაითვალისწინოს თვისი მუდმივი მრევლის — ხალხისა, საშუალო საზოგადოებისა და მოსწავლეთა სახსარი—და ეცადოს წარმოდგენები ყველასთვის ხელ-მისაწვდენი გახადოს .. ხოლო თუ ეს დასი დასავლეთ საქართველოს სხვა დაბა-ქალაქებსაც ეწვევა დროთი-დრო—ამითი ხომ უზომო სამსახურს გაუწევს ჩვენს ქვეყანას...

და თუ გვსურს ამ ახალმა დასმა თვისი დანიშნულება პირნათლად შეასრულოს, ყველა მოვალეა ხელი შეუწყოს...

ვარდ-ყვავილებითამც გვეხილოს დადაფნილი დღეს ნარეკლიანზე გამოსული ქუთათური დასი...

გამარჯვებას მხოლოდ თვით მომქმედნი მიახწევენ და ჩვენც ამ გამარჯვებას ვუსურვებთ თვითმოქმედების გზაზე გამოსულ დასს..,

შუალამისას

შუალამისას, როდესაც ქვეყნად
სრული სიმშვიდე დაემყარება,
მარტოდ მარტოდ ვარ და ჩემს შემკრთალ სულს
სიკვდილის შიში შეეპარება,
ამ დროს მე ვფიქრობ განვლილ დღეებზე,
სად ვერ აღვბეჭდე მუდმივი კვალი,
ვითვალისწინებ შავბნელ მომავალს
და მთელ არსებას იპყრობს კანკალი.
და როცა ვდგევარ, როგორც ვერხვის ხე
ძლიერი ქარით შეშინებული,
ცის გამსჭვირვალე ლურჯი რვეული
ნათელი მთვარით დამშვენებული
სდუმს. და დუმილში მესმის მთრთოლვარე
მეჩურჩულება ძლივს გასაგონად:
„დაბადებიდან ადამიანი
გაჩენილია სიკვდილის მონად.
აი თვითონ მეც არ მახსოვს როდის
შემეხო მკაცრი სიკვდილის ხელი,
და გამოუცნობ ჟამთა ტრიალში
მოისპობოდა ჩემი სახელი,
მაგრამ მზემ თავის სხივით მომქსოვა,
გამაუკვდავა და როს მას სძინავს,
ეს ჩემი სახე მზის ანარეკლი,
თვით მზის გარშემო ტრიალებს, ბზინავს«...

მთვარევ!ოჰ მინდა სიკვდილის შემდეგ
დავსტოვო რამე მზის ცხოველ სხივად,
რათა როდესაც აღარ ვიქნები,
თვით ჩემი ხსოვნა დარჩეს მუდმივად;
რათა გაიგოს შთამომავლობამ
ჩემი ფიქრები, მისწრაფებანი,
რათა, ადიდოს მანც ჩემი ღვერთი
და ჩემს სიმღერებს მანც მისცეს ბანი...

შუალამისას, როდესაც ქვეყნად
სრული სიმშვიდე დაემყარება,
მარტოდ-მარტო ვარ და ჩემს შემკრთალ სულს
სიკვდილის შიში შეეპარება,
ამ დროს მე ვფიქრობ განვლ ლ დღეებზე,
სად ვერ აღვბეჭდე მუდმივი კვალი
ვითვილისწინებ შავბნელ მომავალს
და მთელ არს ბას იპყრობს კანკალი...

გ. მეგრელიშვილი

მსახიობი ვ. არაბიძე

ჰიათურის დასის რეჟისორად მიწვეული

კარავში

(ნაწყვეტი)

...ხომლი უკვე გადახრილიყო დასავლეთისაკენ; ღამის სიჩუმეს დაჭრილ-დაავადებულთა კვნესა არღვევდა მორიგე სათნოების დას სთვლემდა მაგიდაზე იდაყვ-დაყრდნობილს და ჰფიქრობდა მომავალ ცხოვრებაზე: თვალწინ ირდგენდა ოჯახურ იდილიას: მისი ვალიკო ხომ რამდენიმე დღის შემდეგ ოფიცრობას მიიღებს და შე-ღლდებიან კიდეც?.. შემდეგ? პაწია შვილი... ოჰ! რა ბედნიერებაა! ტუჩებს საამბოროდ ჰკუმავს, სახე სიამოვნებით უღიმის. მას შემდეგ, ოდესაში რომ გაეცნო ვალიკოს, როდესაც ჯერ კიდევ სტუდენტი იყო ის, —თითქმის ჯარასოდეს არ შეუტოპავს ასე ღრმად, ფიქრთა მორევში.

— წყალი...

— მიშველეთ...—ისმოდა აქედ-იქიდან ვედრება სხვა და სხვა ენაზე.

— ოოჰ! რისთვის დამბადე, დედავ, მშობელო!..—გაისმა კვლავ საყვედური ვიღაც საპყარისა, თითქოს დედა ყოფილიყოს მიზე-

ზი მისი უბედურების. ამ ხმების გამგონე სათნოების-და იტანჯებოდა მათი სიბრალულით, მაგრამ შველა კი ვერ შეეძლო. მისი ყურადღება მიპყრობილი იყო უფრო ერთ სარეცელისაკენ, რომელზედაც გაუნძრევლად და ხმის-ამოუღებლად იწვა ერთი ჯარის-კაცი, ხელ-პირ საშინლად დამწვარი. შეტუსული ტუჩები ვეღარ მოეშორებინა ერთი მეორისთვის და ენას გაუგებრად ალუღლუღებდა.

უყურებდა ასე უღვთოდ დასახიჩრებულს და უნებლიეთი შიშის ჟრუანტელი უვლიდა ტანში. ვინ უწყის, საით ჰქროდა განწირულის ტანჯული სული, და რომელ მხარეს დაჰფარფატებდა?

— მარგო! მარგარიტა! ჩემო ძვირფასო! —კარავში შესვლისთანავე წამოიძახა საომრად გამოწყობილმა ახალგაზრდამ და გაეშურა სათნოების დისაკენ.

— ვალიკო!—შესძახა მარგალიტამაც და მიეგება გახარებული.

დიდხანს არ შორდებოდა მათი ტუჩები ერთმანეთს.

— ამ დროს აქ საიდან? როგორ?...— ეკითხებოდა გაკვირვებული მარგალიტა და ათვალიერებდა შეიარაღებულ ვალიკოს.— საიდან განჩდი აქა? დარაჯმა როგორ შემოგიშვა? აღკრძალული აქვს.

— მოაჯირზე გადმოვხტი ჩუმად.

— მერე და სად მიხვალ ამ დროს ეგრე შეჭურვილი?

— არ ვიცი! ვიცი მხოლოდ ის, რომ შუა-ღამისას წამოგვშალეს და გვიკრეს თავი აქეთ, ქალაქის განაპირა მინდვრებისაკენ, ჩემი რაზმი შორს არ იქნება აქედან გაცილებული... მე ჩუმად აქედ შემოუხვიე...

— ალბად საღლუმოდ? — ეკითხებოდა კვლავ მარგალიტა და გული უფანცქალებდა ასეთ მოულოდნელ ბრძანების გამო.

ვისაც გამოუცდია შეყვარებულის წუთები თავის გულის-ტოლთან საუბრის დროს, მეტადრე მაშინ, როდესაც შორდება მოულოდნელად—ძნელი არ არის მისთვის მარგალიტას მდგომარეობის გაგება.

— ომიანობის დროს აღლუმები არ იციან,—მიუგო ვალიკომ.

— იქნება მტერი მოუახლოვდა ქალაქს.. —არ იშლიდა გამოკითხვას შეშინებული მარგალიტა.

ამ დროს შორს გაისმა ამაზრზენი ხმა ბუკ-საყვირისა. ახალგაზდებს ყვითელმა ფერმა გადაჰკრა; ეს ხმა კარგს არას მოასწავებდა.

— ეხლა-კი მშვიდობით, ჩემო სიცოცხლევ! მიგვიანდება. მოვალეობა მიწვევს...

— ცოტა ხანიც!..—ჩასჭიდა ხელი ვალიკოს, თავი მკერდზე მიაყრდნო და არ უშვებდა..

ვალიკო კოცნით აგვირგვინებდა თავის სიყვარულს.

ეჰ! ვინ იცის რამდენნაირმა აზრმა არ გაირბინა ამ დროს მათი ცნების სალაროში?!

***

არავინ იყო მათი მოწმე, არავის ეყაიშებოდა მათი ყურება და გაგონება სატრფიალო სიტყვების, გარდა ერთის! ეს იყო დამწვარი, უტყვი ჯარის-კაცი, რომელიც გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს. მას თვალწინ წარმოუდგა თავის საცოლესთან განშორების ჟამი. როდესაც გამოცხადდა ომი და ისიც გაიწვიეს, როგორც სათადარიგო, მაშინ ჯან-ღონით სავსე იყო, აღფრთოვანებული თავის ტერეზიასთან სიახლოვით...

აი! ეხლაც თითქოს ისევ იქაა:

ღამეა, მთვარე კაშკაშებს ..ტერეზიასთან ხელ-გადახვეული ზის რაბათის პატარა გორაზე და გადასცქერიან მდინარე ფოცხოვს— ცრემლებს მესხეთისას.

— ტერეზია! არავისზე გამცვალო.

— სოსოს მოღალატეს უწინ დღე დაეღიოს!.

განა შეეძლება რამე იმ ხანმოკლე წუთებს?

— ვალიკო! ჩემო კარგო, მალე დაბრუნდები?

— არ ვიცი! კარგად იყავი მარგალიტავ, ნუ იდარდებ.—მიუგო ვალიკომ მარგალიტას შეკითხვაზე და გავარდა საჩქაროდ გარედა. ვიდრე თვალთაგან არ მიეფარა და სიბნელემ არ შთანთქა, მარგალიტა, არ შემობრუნდა. რა მობრუნდა, ზანტად ჩამოჯდა

დგამზე დაეყრდნო მაგიდას და ქალურმა ჩვილმა გულმა დასძ[illegible]ია: ცრემლები მოერია თვალებზე და აქვითინდა. არ იცოდა რა მოელოდა მის გულის მესაიდუმლეს და რას არ ფიქრობდა, ვინ მოსთვლის!..

ამ სურათის მაცქერალ სოსოს, ძალიან შეებრალა. ჰსურდა ენუგეშებინა; წამოიწია დიდის წვალებით, დააპირა რაღაცის თქმა, მაგრამ აქ იგრძნო მთელი საშინელება სინამდვილისა და მოწყვეტილი დაეცა საწოლზე. გულიდან აღმოხდა შემზარავი კვნესა და ალანძული თვალის ქუთუთოები ცრემლებმა დაუსველეს... მოაგონდა ტერეზიას სიტყვები. ისიც ხომ ასევე ეკითხებოდა: „სოსო! მალე დაბრუნდები“-ო.

ნეტავ ეხლა სად არის, ანუ რას ფიქრობს ტერეზია?

***

ირაკლიანი. ჯოჯოხეთური ცეცხლის რგოლი ახლოვდებოდა. მისი გუგუნი მთა-ბარსა სძრავდა; მაგრამ სოსოს აღარ ესმოდა. მას უკვე შეჰხებოდა მსახვრალი ხელი სიკვდილისა!..

ს. ერთაწმინდელი

შეხვედრა

დოქით წყალზე მიდიოდა
გოგო, ფეხ-შიშველი;
თვალი მომკრა და შეჩერდა
როგორც ნაზი შველი.

დამაბა და დამატყვევა
იმ ღვთიურის ეშხმა;
სიტყვა ველარ მოვახერხე,
ველარც ქების შესხმა.

ერთხელ კიდევ შემომხედა
თვალთა ელვის ფრქვევით,
და გასწია მთის ბილიკით,
კოხტა ტანის რხევით,

ცნობილი [illegible]მეჯიანური **ალექსანდრე ოგანეზაშვილი**, სიმხედრო სამსახურში გაწვეული.

დასის მოგზაურობა

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 37)

ამ გვარად უმთავრესი საგნები თითქო გადაწყვიტა ამხანაგობამ. დარჩათ ადმინისტრატორისა და ხაზინადრის ამორჩევა.

სამივ ეს თანამდებობა სკვინჩაძეს მიანდვეს.

სკვინჩაძე კირაკოზოვის ნოქრად იყო ნამყოფი. შემდეგში თეატრმა გაიტაცა და ეს პირველი სეზონი იყო, რაც ქართულ დასს შეკედლებოდა. პატარ-პატარა როლებს აძლევდნენ და უფრო კომიკურ ხასიათისას ზოგჯერ საუცხოვოდაც ასრულებდა. თან დაკვირვებული კაცი იყო, საქმეში დინჯი დაცდილი, წესიერი, მორჩილი, როლების მუდამ კარგად მცოდნე, პირნათლად აღმასრულებელი ნიკისრ საქმისა. ამიტომაც დასის რეჟისორს ძალიან უყვარდა და თვით დრამატიული კომიტეტიც ანებივრებდა: პირველ ორი თვის შემდეგ ჯამაგირიც მოუმატეს. თან კომიტეტის ხაზინადარს საბუჰგალტრო ანგარიშის შედგენაში ეხმარებოდა-ასე რომ ამხანაგებშიც თავიდანვე გარკვეული და მტკიცე ადგილი დაიჭირა. ისე კი ქეიფშიაც მარჯვე იყო, არც ხარჯს ერიდებოდა, „რჩების“ თქმაც იცოდა სუფრაზე, დამცინავი კილოცა ჰქონდა და ცოტაოდენი ოხუნჯიც იყო. ასე რომ ამხანაგებში ამ მხრივაც საამუ-

რად იყო შემოსული. მაგრამ ყველაზე უფრო სოსო მეგობრობდა. სოსო დიდი აზრის იყო იმაზე. „უფუოდ წინ წავაო!“ ხშირად ამტკიცებდა იგი. მოსწონდა, რომ სკვინჩაძე ყოველივეს მის გარემოს უკვირდებოდა. სწავლობდა, ხარბად კითხულობდა წიგნებს, თუ კი ვისგანმე გაიგებდა, რომ რაიმე შესანიშნავი, ან სასარგებლო ნაწარმოებიაო. ვარლამს პირველი ის ართმევდა სათეატრო ჟურნალებს, ჩაჰკირკიტებდა, სინჯავდა. უფროსებს პირში შესცქეროდა, რეჟისორის სიტყვებს პირდაპირ ყლაპავდა და თუ სადმე საზოგადოებაში მოხვდებოდა, მუდამ თავ-დახრილი ისმენდა გამოცდილ და მიჩნეულ ადამიანთა კამათს თუ საუბარს.

ყველა ეს მისი თვისებანი სოსოსაც არა ერთხელ შეუქია ამხანაგებში და ამხანაგებიც ეგეთი პატივისცემით ეპყრობოდნენ მას.

ხაზინადრად, და ადმინისტრატორად თავიანთ შორის უკეთესს ვისღა გამოსძებნიდნენ და აკი ერთხმად აირჩიეს კიდეც.

სამაგიეროდ სოსოს ამხანაგობის თავმჯდომარეობა მიანდვეს. სოსომ აქაც იუარა:

—რა კი რეჟისორი გვყავს, თავმჯდომარე რაღათ გინდათო, მაგრამ ბოლოს მაინც დაითანხმეს.

— საჭიროაო!—დაარწმუნეს.

თათბირი დასრულდა.

როდესაც ქუჩაზე გამოვიდნენ, სკვინჩაძემ წასჩურჩულა ანდროს:

— რა ეშმაკია ეს ჩვენი სოსო!..

— როგორ?—შეეკითხა გაკვირვებული ანდრო.

— იცის ბიჭმა—და!...

ეს იყო პასუხი.

(გაგრძელება იქნება)

გოგოთურ და აფშინა

(გაგრძელება იხ. „თ. და ც“ № 38)

3) გოგოთურის კაცთმოყვარეობის გავლენა არაკაცთმოყვარე აფშინაზე.

აფშინა უარეოფითი გმირია. მას არ აბადია არც ერთი ის დადებული თვისება, რომლითაც გოგოთური უხვად არის დაჯილდოვებული... მისდვეს ცარცვა-გლეჯას, უსამართლოებას; მის გულს ოდნავადაც არ აღელვებს საზოგადოებრივი გრძნობა, მთელი საქართველოს და თვისი კერძო სამშობლოს შავ-ბედი... სტურავს კერძო ინტერესთა ტალღებში. კუნდა თვისი მუტელი კერპად და ემსახურება თავის ბირადობას, თავის „მე“-ს. მისთვის ძვირფასი მოძღვრებაა ბირადი კეთილდღეობა: „მე თუ არ ვიქნები, ქვა ქვაზედაცნუ“ დარჩებაო..“ სუბედურად, საქართველოს ქებულს წარსულშიბლომად მოიპოებოდა აფშინას მსგავსი გვამი... საბირადო ანგარიშებით გატაცებულნი ისინი ბრმულად ძირს უთხრიდენ სამშობლოს კეთილდღეობას. ამ კარემოებამ დაღუბა ჩვენი სამშობლო. მან ტუდ ბედში ჩააგდო ჩვენი ერი. აფშინები გოგოთურებს ხელს უშლიდნენ სამშობლოს საკეთილდღეოდ შრომა-დვაწლში...

„ამბობენ ბლოელ (სოფელი ხევსურეთში) აფშინა,
მინდოდაურის გვარისა,
სცარცვავს სჯულიან უსჯულოს,
მარჯვედ მომხმარე ფარისა!
ქერხო (სახლის თავი) აავსო უნჯითა (სიმდიდრით),
როგორც სალარო ხანისა (ხელმწიფისა).

აფშინა სიმდიდრეს იძენს ბრალიან უბრალოს ცარცვით, არ დასდევს სხვის ზარალს, სხვის ტანჯვას, ოდონდ დაიკმაყოფილოს სიმდიდრის შეძენის ბიდწი ვნება... ის ამ ვნების მონაა, და მის კარეშე ვერაფერს ხედავს. გაიხსენეთ ჩვენი ელჩები რუსეთის სამეფო კარის წინაშე მეთვრამეტე საუკუნის კასულს, იმერეთის სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, სამეკრედოს მაშინდელი მთავარი, რომელთაც თვისი სამშობლო ვერცხლსა და ოქროზე კასტვალეს და

თქვენ მიხვდებით, რომ აფშინაც საქართველოს ნიადაგზეა აღზრდილა, ქართველების შავ ბედისთვისაა მოგვენილი... სამშობლოს ათას გვარი უბედურება აგია...,

„საქართველოა
ყველა კუთხიდან მტრიანი“ და სწორედ ამ დროს აფშინა სცარცვავს ბრალიან-უბრალოს, სჯულიან-უსჯულოს და ზედ ის თავის სიმდიდრეს... მაგრამ ერთი დროება არვის შერჩება! არ შერჩება აფშინასაც... ჩვენ ვიცით იმის შეხვედრა გოგოთურთან, მისი დამარცხება, მისი გათავისუფლება, რომელიც გოგოთურმა გამოიზინა მისდამი. ამ სულგრძელობამ დრმად შეარეა მთელი მისი არსება, შეანძრია მისი ნერვები და დრმადვე ჩაფიქრა თავის თავზე. აფშინა ამ დიდებულს წუთში, როდესაც განიცადა სულგრძელობის ნაუოფი, გარდიქმნა, სხვა არსად გახდა... გასწუვიტა თვის სამარცხვინო წარსულთან კავშირი... განახლებული აფშინა ეუბნებოდა გოგოთურს:

„მოდი გაკოცო გოგოთურ,
სიკეთისათვის შუბლშია“.
ხელი მოხვიეს ერთმანერთს
გულ-ახდით, არა ძალადა;
აფშინას ხურჯინშიითა
ტიკჭორა მააქ ჩქარადა,
მიიპატიჟა გოგოთურ
დასხდენ ვაჟკაცნი ხისძირა“...

ამას მოჰყვა ერთმანეთის დალოცვა. გოგოთური, გახარებული იმითი, რომ აფშინა დაუმორჩილა თავის ზნეობრივს კვდენას, თავის მხრით უსურვებს:

„ღმერთმა გაშოროს ბოროტი,
ავ-საქმე, ავი წადილი,
ნუ მოგვიშალოს უფალმან
ძმობა და ერთად ხადილი“. (წვეულობა, სტუმრობა)

გოგოთური კმაუოფილია, რომ იშოვნა შეფიცულ ძმად აფშინა, ესრედ დონიერი, ჯანიანი... ამის შემდეგ მოხდა ის ფიც-ვერცხლის ჯამა, რომლის შესახებ ზემო ვსთქვით... აქ ცხადად განხორციელდა იდია ჯაგჯაგაძის დიდებული თქმულება:

„სიკეთით სძლიე შენს მტერსა,
ერიდე შურით ძლევასა“.

დიდი კავდენა აქვს სიკეთეს სადხზე. რომ გოგოთურისთანა კეთილშობილი ადამიანები არ იუვნენ ცოდვით სავსე დედამიწაზე, მთელი მსოფლიო სიმურაღის ჯაობად გადიქცეოდა, და კატობრიობა ამ ჯაობში ჩაიხრჩობოდა. მაგრამ იმისი მსგავსი ადამიანები ცოდვილი სოფლის მარილი და ნათელია.. ტუუილად ხომ არ თქულა:

„ყოვლთვის ყოფილან და იქნებიან
კაცნი, ზეგარდმო მადლით ცხებულნი,
მქადაგებელნი ჭეშმარიტების
და სიმართლისთვის თავდადებულნი.
მათი ნააზრი, სიტყვა და ღვაწლი
ჩაგრულს ცხოვრების გზაზე ამხნევებს
და სიმართლისთვის თავგანწირულებს
სულისა ძალთა აღუფრთოვანებს“.

(„მწყემსი“ 1894 წ.)

მაგრამ აფშინა ვერ შეურიგდა სიგვაჟკაცის დაკარგვას, ცოცხლად თავის დამარხვას. ისეთი ძლიერი იუო იმის გულის ტკივილი, რომ ერის კაცთა შორის მას აღარ ებოგინებოდა. ვაჟა ხელოვნურად აღწერს აფშინას სულიერს დრამას და მოგვსმინოთ მის მზესიტუვაობას:

„და განაპირად სოფლისა
ისმის რაკუნი კარისა;
თან ხმა გაისმის მწყრომარე,
გადმონადენი ჯავრისა“...

ეს ხმა აფშინას ხმაა... ის შინ მეოფთ თავსიანებს ეუბნება:

„აჰა, წაიხვენ აბჯარნი (ჯაჭვის სამოსი),
ცხენს ნუ დაუყრი თივასა;
ვინც ხვალ პირველად მოვიდეს,
ჩემ ცხენიც იმასა ჰყავდეს.
ფასს არ ვსთხოვ, არცა ქირასა.
მე კარჩი ველარ გამოვალ,
ძმად უნდა ვყვანდე ჯინასა (სასიმინდე);
პირი შამყრია უწამლო (მოურჩენელი)
კაცს, ხელსურთ ბადალს (შესაფერს)
წინასა...

აგერ სამი თვე სრულდება,
ალარ შორდება ბინასა (აფშინა),
ლოგინად ჩავარდნილია,
უნდება კვნესას, გმინვასა,
ძალა და ველარ დამალა
აფშინამ წყლული გულისა,

არ ეთქვა ოღარ შაეძლო,
ვაჟკაცს მობრუნვა სულისა,
ცხენი, აბჯარნი სხვას მისცნა,
გახდაწერთგული სჯულისაო.

მსოფლიოდ სჯულის ერთგულად გახდომა შეიქნა ათშინას სულის შეუდრეობის წყაროდ. სჯულში ნახა შერტხვეხილმა ვაჟკაცმა ტაძარი თავშესაფარი. და ეს გუშინდელი ავაზაკი, სჯულიანუსჯულოს მძარცველი გახდა ხევის ბერად, სასუდიერო და სიკეთისკენ და სატს მოუწოდებდა ქვეყნის მფარველად...

„მწყალობელ იყვეს გიორგი,
ხალხო, ოჯახის თქვენისა;
მტერზედამც გაგემარჯვებათ,
სიკვდილს გაშოროსთ მწარესა,
გამარჯვებითამც გივლიათ
ყოვლგნივ ხმელეთის მხარესა!«

ამის და მიუხედავად, სადხის გადმოტეშეთ, კაისმის ურუ და მწარე ხმა, ქვითინთან შეერეოებული, თვით ათშინასი, რომელიც დამის წყვდიადში და მთვარიან დამეს დრმა მწუხარეთ კაიძახის:

„ვაჰ, მკვდარო ვაჟ-კაცობაო,
ცოცხლად დამარხვავ თავისა“...

ეს მწვავე ჭაზრი, მის გულის ნადგლის ნაკადი, ათშინას არდეს კანშორდება და სიფდავში თან ბაჭეგებს... ეს არც გასაკვირია! იარადი მთიელისთვის უველაფერი იყო ისე, როგორც ცხენი, ამის გამო გოგოთური ეუბნება ათშინას:

„კაცისად იარაღისა
აყრა სიკვდილთან სწორია“.

ილ. ფერაძე

(დასასრული იქნება)

ჯარის კაცის სიმღერა

I

თუნდ რისხვა დამეც, ზეცავ, მე,
დამწვი, დამდაგე ალითა,
თუნდ დამიბნელდეს ზეცა მე,
ველარას ვეკვრეტდე თვალითა,
ვერ გამტეხ, ბედო ტიალო,
ვერ ამატირებ გულითა,
აგყვები სოფლის ტრიალო,
შენგან ატეხილ წყლულითა!..
აჰა, დღეს უკვე მატყვია
ცხოვრების ჰირთა ნიშანი,
გარს ჯოჯოხეთი მარტყია,
ტანჯვამ შემოსა მიზანი,
მაგრამ ვაი შენ მგმობელო,
სიცოცხლის სიყვარულისა,—
უკულმართობის სოფელო
მტერი ვარ აღსასრულისა!..

II

ვინ არის ბნელი დაშრიტოს,
მოსპოს მონობა ავისა,
ცხოვრების სახე განსჭვრიტოს,
სამოთხე ჰპოვოს თავისა?
ვინ არის მითხრას სიმართლე,
მაჩვენოს პირი ღმერთისა,
სულსა მოჰფინოს სინათლე,
მადლი აპკუროს ზეცისა?..
აღარც ღმერთს ვხედავ, არც სხვასა,
არც ცრემლებს ვაფრქვევ თვალითა,
მედგრად დავუდექ ტანჯვასა
და წინ მივდივარ ძალითა!..

დარია ახვლედიანისა

ბედნიერი დღე

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ 38)

მოქმედება მესამე

ტრიალი მინდორი. მარჯვნით შარა გზა ჩამოდის. გზის იქით ხშირი ტყე. შორიდან მოსჩანს მაღალი მთები. დილა არის, მზეს ახლად წვერი უკრავს მთებისთვის. მინდვრის ერთს მხარეზე სდგას აპოლონი. სერთუკი გაუხდია. ხელში დამბაჩა უჭირავს. ცოტა მოშორებით სხვადან ილარიონ და ერთიც სხვა სტუდენტი და ჯაზეთს კითხულობენ.

I

აპოლონ და ილარიონ

აპოლ. (ფერწასულია, ასწევს დამბაჩას და უმიზნებს. თოფდებს დახუჭავს და თავისთვის დაბარაკობს. დაბარაკის დრეს ბარს შარტნით მიაბრუნებს)

ვლო ანდრონიკაშვილი

ს. ბეჟანიშვილი

ეფემია მესხი

ან. შოთაძე

ო. ღოღობერიძე

ი. ზარდალიშვილი



ა. ყალაბეგიშვილი

ა. მურუსიძე

პ. კორიშელი

დასის მესვეური და რეჟ. შალვა დადიანი

ვ. ბარველი

მაროს მდივანი

შ. ხონელი

ქუთაისის 1915—1916 დრამ. დასი

ნიკო გვარაძე

სეზონი

„იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღვთი-
საგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქართ
მრავალი ყმიანი“.

(უმიზნებს დამბაჩას)

ილარ. (კაზეთის კითხვას თავს დანებებს. შეხედავს და გაიდიმება) ლოცვად ხომ არ დამდგარხარ, აპოლონ?

აპოლ. (დამბაჩას დაუშვებს) ლოცვა კი არა, ის არ გინდა?

ილარ. (სიცილით) მაშ რას ბუტბუტებ?

აპოლ. „ვეფხის ტყაოსანს“ ვკითხულობ.

ილარ. (დიდხანს იცინის. აგრეთვე სეკუნდანტიც წამოდგება და მივა აპოლონთან) კაცი ერთი საათის შემდეგ უნდა მოკვდე და „ვეფხის ტყაოსნისთვის“ გცალია?.. ეხლა რაც ლოცვები გისწავლია, ყველა უნდა მოიგონო.

აპოლ. (გაჯავრებით) რა დროს ხუმრობაა, ილარიონ?

ილარ. (სერიოზულად) მე არ ვხუმრობ.

აპოლ. ხუმრობ:ა, მა რა არის? რა შავ ქვად მინდა ლოცვა?

ილარ. (დიმილით) ეგ ჭკვიანი შუბლი რომ გაგიხვრიტოს კოტეს ტყვიამ, შენი სული ხომ საიქიოს უნდა წავიდეს, აქ ხომ არ დარჩება? მაშ არ უნდა ილოცო?

აპოლ. (შეწუხებული) რათ იცი ხოლმე ასეთი ხუმრობა?!

ილარ. მე არ გეხუმრები.

აპოლ. (ფრიად შეწუხებული, მხარზე ხელს დაადებს) ილარიონ, მართალს ამბობ, შესაძლებელია რომ მოვკვდე? (თვალებში შესტქერის)

ილარ. (დიმილით) სულ ადვილად, თუ კოტემ კარგი სროლა იცის.

აპოლ. (ჩაფიქრდება. დადონებული შეხედავს) მაშ, არა ხუმრობ ილარიონ? დღეს მე მოვკვდები? სამუდამოდ დავხუჭავ თვალებს? ვეღარ დავინახავ ამ ტრიალ მინდორს (ხელს გაიშვერს), ამ უღრან ტყეს, ამ ბუმბერაზ მთის მწვერვალებს? ვეღარ დავტკბები ამ მშვენიერი სურათის ცქერით? ვეღარ ვიხილავ საბრალო დედას? ნუ თუ ეს წარმოსადგენია?!!

ილარ. (მხარზე ხელს დაადებს. დიმილით) ყოველივე ეს შეგიძლია ასე წარმოიდგინო, ჩემო აპოლონ, როგორც ნამდვილი ფაქტი. შეიძლება ეს მოხდეს ერთი საათის შემდეგ. (მეორე სეკუნდანტიც იქვე სდგას, ურს უკდებს და იცინის)

ილარ. (ცახცახებს) მე არ მინდა მოვკვდე. ჯერ ბევრი საქმე მაქვს გასაკეთებელი. ხომ მართალია, ილარიონ?

აპოლ. (დიმილით) ეგ მართალია, მაგრამ ისიც მართალია, რომ დღეს მოკვდები.

აპოლ. (შეწუხებული) განა ისეთი დუელი არ მომხდარა, რომ კაცი არ მომკვდარიყოს?

ილარ. (სიცილით) თავის დღეშიაც არა. დუელში უსათუოდ უნდა მოკვდეს ერთ-ერთი.

აპოლ. (ძლიერ შეწუხებული) მაშ, რა ვქნა? მე არ მინდა მოვკვდე.

ილარ. თუ არ გინდა, მაშინ კოტე უნდა მოჰკლა.

აპოლ. (ცოტა ჩაფიქრების შემდეგ) მერე ცოდო არ არის? ხომ იმანაც უნდა დახუჭოს თვალები?

ილარ. თუ ცოდო არის, მაშინ შენ უნდა მოკვდე.

აპოლ. არა, მე არ მინდა სიკვდილი, სჯობიან ისევ კოტე მოკვდეს. მაგრამ როგორ უნდა მოვკლა, ჩემს დღეში თოფი ხელში არ ამიღია.

ილარ. (გამოართმევს დამბაჩას და გაიშვერს წინ) აი იქ დადგება კოტე, აქედან შენ ესვრი. ტყვია მოხვდება კოტეს შუბლში, წაიქცევა და მოკვდება.

აპოლ. (გამოართმევს დამბაჩას და უმიზნებს. ხელი უკანკალებს) ილარიონ, თუ არ მასწავლე, შეიძლება მე ავაცდინო. მაშინ?

ილარ. (სიცილით) მაშინ შენ არ აგცდება. .

აპოლ. მაშ ჯერ სანამ არ მოსულან— მავარჯიშე, მასწავლე. შენ ხომ გამოცდილი მსროლელი ხარ.

ილარ. (დიმილით) კარგი, აი შენ აქ დადექი. (მიიუვანს და დააყენებს იქ, სადაც მოწინააღმდეგე უნდა იდგეს) შენ ვითომ კოტე ხარ, მე აპოლონი. (წავა და დადგება იმ ად-

გიდას, სადაც ამბოდინი იდგა) პირველი სროლა შენია. აბა მიყურე. (აიდებს დამბაჩას და უმიზნებს)

აპოლ. (შიშით ცახცახებს. მარჯვნივ იზნიქება, თვალებზე ხელს მიიფარებს) უჰ! რა საშინელებაა!! როგორ შავად მოსჩანს დამბაჩის ტუჩი, თითქოს იქ ჯოჯოხეთი იყოს.

ილარ. სწორედ დადექ, —ეგრე არ შეიძლება. შენ უნდა იდგე სწორედ, მკერდი უნდა მომიშვირო და ელოდე ჩემს ტყვიას!

აპოლ. (წელში გასწორდება და ბირდაბირ შეურებს იდარიონს. ცახცახებს) მზათა ვარ. (იდარიონ უმიზნებს. ამბოდინ შეშინებული ხელებს წინ გაიშვერს) ფრთხილად! ფრთხილად! არ გავარდეს!

ილარ. (იცინის) ცარიელი დამბაჩა არ გავარდება.

აპოლ. (დამშვიდებული) ცარიელია?!. იქნება იყოს შიგ რამე?

ილარ. არაფერია! დადექ! ეხლა დგება უკანასკნელი წუთი.

აპოლ. (შეშინებული) როგორ თუ უკანასკნელი წუთი?

ილარ. (სხვანაირ სახეს დებულობს, თითქოს ძლიერ გაბრაზდა) ეხლა უნდა ვიყაროთ შენზე ჯავრი. რაც ამდენ ხანს გითმინე—კმარა. უნდა გესროლო.

აპოლ. (ფრიად შეშინებული) ბიჭოს! არ იხუმრო, ილარიონ.

ილარ. (კიდევ უფრო ბრაზდება და შეეგერის) რის ხუმრობა, მართალს გეუბნები. დადექ! (დამბაჩას ფეხზე შეუყენებს)

აპოლ. (ადარ იცის, რა ქნას) რათა მკლავ, რა დამიშავებია? (გაქცევას ცდილობს)

ილარ. (დამბაჩას ჩამოუშვებს და გულიანად იცინის) აი შე მშიშარავ! არა გრცხვენიან? მართლა ხომ არ გეგონა, რომ გესროდი? დაგავიწყდა, რომ მე კოტე ვარ ეხლა? ის წუთი დადგა, რომ თითქოს უნდა გესროლოს. დადექ!

აპოლ. (თავისუფლად ამოისუნთქავს და დადგება) მართლა სულ დამავიწყდა,

ილარ. აბა მოემზადე. ერთი! ორი! სამი! (დაცემინებს ჩხმახს)

აპოლ. (შიშით დაიყვირებს და ჩაიჩოქებს) ვაიმე! (იდარიონ და მეორე სეკუნდანტი ხარხარს ასტეხენ)

სოლომონ დოდაშვილი (1799—1836)

— ქართველთა შორის მამულიშვილობის იდეის გამგრძელებელი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ პირველი ეს წავიდა რუსეთს უმაღლესი განთლებისთვის, დასრულა პეტროგრადის უნივერსიტეტი. 1828 წ. თბილისში გამოსცა ქართული გაზეთი და ჟურნალი, გახსნა სკოლა და სტამბა, შეადგინა იმ დროის სასულ. სემინარიისა და კეთილშობილთა სასწავლებლის პროგრამის შესაფერი ეველა საგნის სახელმძღვანელოები, რუსულად დასწერა „დისერტაცია“ მოკლე ლოდიკა (პეტროგრადში გამოიცა). 1832 წ. ირკუტსკის გუბერნიაში გადასახლეს, სადაც გარდაიცვალა 1836 წ. (სურათი ამოღებულია ზ. ჭიჭინაძის „ქართული სტამბის ისტორიიდან“).

ილარ. (მიეკ და ეუბნება) რა იყო? რა მოხდა? ადექ!..

აპოლ. მე მეგონა მართლა მესროლე.

ლარ. აი შე ლაჩარო! აგრე თუ შეგეშინდა, დღეს უსათუოდ შენ მოკვდები.

აპოლ. (გულს გაიმაგრებს) არა, არ შემე-

შინდება, გულს გავიმაგრებ. ეს ოხერი, „ვეფხვის ტყაოსანი“ სულ დამავიწყდა. არ შეიძლება გადავათვალიერო?

ილარ. (ხარხარებს) „ვეფხის ტყაოსანი“ რად გინდა?

აპოლ. (დადონებულდა) როცა „ვეფხვის ტყაოსანს“ ვკითხულობ, ყველაფერი მავიწყდება, ჩემს გულში არაფრის შიში აღარ არის და თავი გმირი მგონია. ხან ისე წარმომიდგება, თითქოს მე ვიყო ტარიელი.

ილარ. ეს ძლიერ კარგია! სულ ერთია რაც მოგაგონდეს სთქვი.

აპოლ. ვიცი აქა-იქ კანტი კუნტად. რა გაეწყობა, რაც მომაგონდება— იმას ვიტყვი.

ილარ. (მოჭკიდებს ხელს, შეიყვანს და თავის ადგილს დაუჯენს დამბაჩას ხელში მისცემს) ეხლა შენ ნამდვილი აპოლონი ხარ, მე კი კოტე. აი მე აქ დავდგები. (წავა და დადგება მის პირდაპირ) აბა აიღე დამბაჩა და დამიმიზნე. წარმოიდგინე, რომ მე კოტე ვარ. დამიმიზნე აი აქ ფეხებში, როცა ფეხებში უმიზნებ დამბაჩას, ტყვია შუბლში მოხვდება.

აპოლ. (ცახცახებს. დიდხანს უმიზნებს დამბაჩას და რადაცას ბუტბუტებს. თვალები დახუჭული აქვს.

ილარ. თვალი გაახილე! თვალი! ნუ ხუჭავ თვალს, ეგ როგორ შეიძლება.

აპოლ. (გაახელს თვალს და უმიზნებს)

ილარ. ერთი! (პაუზა) ორი! (პაუზა) სამი! გაისროლე!

აპოლ. (დაატემინებს ჩახმახს და შეხტება. იდარიონ უცბად წაიქცევა. მივარდება შეშინებული) ვაიმე! ვაიმე! მოგხვდა? მოკვდი?

ილარ. (წამოდგება) აი ასე უნდა. თუ ასე მარჯვედ მოიქეცი, კოტე უთუოდ მოკვდება დღეს. აბა კიდევ გაიმეორე რამდენჯერმე. (აბოდონ იმეორებს. იდარიონ მიწა და მხარზე ხელს დაადებს) ყოჩაღ! ყოჩაღ; ეხლა შიში აღარ არის. ისე კარგად ისვრი, რომ რწყილს ერ ააცდენ ტყვიას. პირველად ვხედავ ქართველ კაცს, სროლა არ იცოდეს.

აპოლ. (მწარე დიმილით) რა ვქნა, ჩემო ილარიონ, ამოდენა კაცი გავიზარდე და თოფი ხელში არ ამიღია.

ილარ. მაშ რა იმედით გამოიწვიე კოტე?

აპოლ. მე ხომ არ გამომიწვევია. მან გამომიწვია.

ილარ. მერე რად გაჰყევი, რომ სროლა არ იცი?

აპოლ. მა რა უნდა მექნა?

ილარ. ბოდიშს მოვიხდიდი და ამით გათავდებოდა საქმე.

აპოლ: რაო? უკაცრავად. უმჯობესია მოვკვდე, სანამ იმის წინ ბოდიშს მოვითხოვდე.

ილარ. მაშ კმარა! ჯერ სანამ არ მოსულან, წავიდეთ, აქვე მწვანეზე დავისვენოთ. (აბოდონ იცვამს სერთუკს და კიდიან მარჯვნივ)

ჯ. ეროილო

(გაგრძელება იქნება)

სალხური შემოქმედება

ნანა

(ახალქალაქელი მაია მამასახლისოვისაგან გაგონილი და ჩაწერილი ანეტა კაპანაძის მიერ)

ნანი ნანა, ნანა ჭრელო,
ატმის კურკა ჭრელო,
ინდოეთით მოსულო,
ფეხ მშვენიერო მტრელო.
დედის ოქროს შანდანო,
კედაბტრის ჩასადგმელო.
შამას ქამარ-სანჯალო,
წელზე შემოსარტყმელო.

ბაბას ჩიბუხის ტარო,
ბირში დასაჭერადო.
დიდედის ქირმანის შალო,
თავზე მოსახურავო.
მამიდას სასუმბარო,
ცხვირში სასუნებელო.
ძიას საწერ-კალამო,
ხელში დასაბეჭრობელო.

ძალუას სუფრაზედა,
მწვანიდად გასაშლელო.
ძმისა ოქროს ჯინჯილო,
გულზედაც დასაგდებო.
დისა აუვალ-მაუვალო
დეიდას საუვარელო,
შენ გენატვალოს დედა,
შენ ყველას საყვარელო.

ოსმალეთი და საქართველო

(ღღევანდელი აჯარის მდგომარეობის გამო)

III

„სხვისი ბამბაცა ჩხრიალებს,
ჩვენი კაკალიც კი არაო“.

ხალხური ანდაზა

აჯარი, სამცხე-საათაბაგო. აი ის ადგილები, რომელიც ჩვენი ქვეყნის უგულმართმა დრო და ბედმა მოგვტაცა. ეს ის დრო იყო, როცა ოსმალთა ძალიერების წინ თითქმის მთელი მაშინდელი ქვეყნიერება ქედს იხრიდა.

ჩვენ იმ დროს დავკარგეთ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ნაწილი. ასეთსავე ბედში იყო მაშინ თითქმის მთელი ევროპა და თვით დიდი რუსეთიც.

რა ტანჯვა-წვალება გამოიარა ოსმალეთის იმ დროინდელ სასტიკ მთავრობის ხელში აჯარა-სამცხე-საათაბაგომ, ამას თვით ოსმანლების ხალხური გალმოცემა მოგვითხრობს:

„ისეთი კერძი და შეუბოვარი ხალხი ადმოჩნდა ბურჯები (ქართველები), რომ ვერა საშუალებით ვერ მოგსპეთ მათში მათი ენისა და სჯულის სიყვარული... მეტადრე კაძნელდა მათი ქალების მორჯულება... მათმა სუტხოვო სიდამაზემ, სიბატიოსნემ და სულის სიმტკიცემ საკვირველი მოხიბლა ჩვენი მმართველი წრეები, ბევრი იმათგანი სულტნებიც კი გახდნენ (ოსმალეთში სულთანის ცოლს სულთანი ჭქვია, თვითონ მეფეს კი სულტანი).

და თავიანთის სიმამაცეზე-სიკეკლუცით ისე ჭიბიდავდენ ქმრებს. რომ ეს უკანასკნელნი იმ ჯიუტ ბურჯებს ლმობიერად ეპურობოდნენ. ასე გასტანა თითქმის ორმა საუკუნემ. საქმე იმდენზე კამწყვავდა, რომ მთავრობა იძულებული გახდა ან სრულიად ამოეწყვიტა იგინი ან ენები დაეკარგა. ბევრკან ამის მაგალითებიც იყო. მაგრამ ქალებმა ყოველგან თავისი კაიტანეს და ხალხში ენა, ასე თუ ისე, მაინც გადარჩინეს.“

აი როგორის აზრისა იყვნენ ოსმალეთში ქართველ ქალებზე. აი, როგორ ჭვარებით მათ ქართული. ახლა?...—„შორა, ღმერთი არ გაგიწყრეს, ბულგარში ქართულად არ დამელაპარაკო, გაუნათლებელი ვეგონებითო“. ასეთია ღღეს ჩვენი ზოგი „განათლებული“ ქალი.

დიახ, განვლო, საუკუნოებმა, მაგრამ ოსმანლებმა, მიუხედავად იმისა, რომ არავითარი საშუალება არ დაუკლიათ, ჩაინც ვერ მოსპეს საკუთარი ქართული ენა და ზოგი ზნე-ჩვეულება.

ამ 37 წლის წინეთ (1878) ეს ადგილები, ე. ი, აჯარა-ქობულეთი, როგორც ვიცით რუსეთს შემოუერთდა.

ჩურუქ-სუ-ქობულეთ-ათხასზეთს, როგორც წინა წერილში ვსთქვით, ჩარგ-ბატატებმა საანახეგრად გზა აუბნიეს. აჯარას-კი, მისი კარგი პატრონ-ბატონის შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის მოხებით, იმედნი ვერა დაკლეს რა. ამ დიდებული კაცის კვდენამ ერთის მხრით გადარჩინა იგინი—დასტოვა თავიანთ მიწა-წყალზე, მაგრამ მეორე მხრით-კი მათი მდგომარეობა არაფრით არ გაუმჯობესებულა. როგორ ვისგნით, ან რისთვის მოხდა ეს, ჩვენ ამას არ შეგვეგებით, ეს ისეც ცხადია. ჩვენ მხოლოდ ვიტყვით, რომ 37 წლის გაბმავდობაში იგინი განვითარების მხრივ ისევ ისე დარჩენენ, როგორც იყვნენ ოსმანლთა ხელში თითქმის სამი საუკუნე. თუ კიდევ რამე შერჩა იმათ ქართველობისა, უნდა უმადლოდეთ ისევ ქალებს, რომლებიც არ ივიწყებდენ ქართულს. თუმცა კაცებშიაც ერიენ თითო ოროლა ქართულის მცოდნე და მოყვარული, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ორგული მოხელეებისაგან ისე იყო გამწყვავებული ქრისტიან და მუსულმან ქართველებს შორის დამოკიდებულება, რომ არავერს ქართულს იქ ფეხის მოკიდება არ შეეძლო. და ბოლოს კიდევ უფრო გაამწვავეს ჩვენი მათთან დამოკიდებულება: იგინი ბათუმს, ოზურგეთს და ქუთაისს ჩაგვიყენეს საბოლოოდ საშსახურში: მასსახლისებად, „სტრაჟნიკებად, ბოლიციელებად და იმდენი უჯლებაც მისცეს, რომ სამკვდრო სასიცოცხლო ანტაგონიზმი ჩამოაგდეს ჩვენ შორის.

ამნაირად ისეც სუსტი ხიდი სრულიად ჩატყდა. ამას კიდევ ახალი უბედურებაც დაერთო.

რუს ოსმალთა, ჩვენს მხარეზე, შიმდინარე ომის ბირველი თოფი აჭარაში გავარდა. ვინ არ იცის, რომ იმ დროს იქ რუსეთს სავმარისი ჯარი არ ჰქონდა. ოსმანდებმა ისარგებლეს ამით და აჭარის ერთი ნაწილი უომრად ჩაიგდეს ხელში.

ამ შემთხვევამ კი, რა საკვირველია, იძულებული გახადა დაბურობილი ადგილების მკვიდრნი დამბურობელთ დმობიერად მობურობოდენ. მიმხრობით კი, არც ერთი იმათგანი, ნამდვილის ამ სიტყვის მნიშვნელობით, ოსმალების, როგორც ამას ავრცელებდენ ჩვენი ქვეყნის მტრები, არ მიმხრობიან.

როგორცა ვსთქვით, აჭარლები რუსის მთავრობისაკენ, თავისებურის თვალსაზრისით მეტად ბატიოტემულნი იყვნენ კარგა ამისა მთავრობა მათგნით არც ჯარს თხოულობდა და არც დიდ კალასხადს ახლევინებდა, რაც შეეხება უბრალო საადმინისტრაციო სამსახურს, რაშიაც იგინი კი კამოდგებოდენ, დიდი უბირატესობა ჰქონდათ. და განა ასეთი ხალხისაკენ შესაძლებელია დალატი... მაგრამ ჩვენს მტრებს ჩვენში მეტი რა საქმე აქვთ, თუ არა ჩვენი დალუპვა დამცირება!...

ვინც უნდა იყოს ეს ჩვენი მტრები — სულერთია, მხოლოდ ის კი ცხადია, რომ მათი „ბროგაკტია“ მეტად შორს წავიდა და აჭარის უმეტესი ნაწილი, სრულიად უდანაშაულოდ ცეტხლსა და მახვილს მისცა. განა ამას იკმარებენ?,.. არა, იმათი მიზანი უფრო შორს მიდის... მათ სურთ, როგორმე მოსპონ აჭარელნი და მათი ადგილ-მამული ან სულ მუქთად, ან ჩადის ფასად მაინც ჩაიგდონ ხელში.

კარგად რომ დავაკვირდეთ საქმის მიმდინარეობას, ადვილად დავინახავთ, რომ ჩვენი მტრები ყოველ შემთხვევაში ერთის ხელით ორ კურდღელს იჭერენ. მაშასადამე, როგორც უნდა დამთავრდეს ეს ომი, იგინი მაინც მოგებულნი იქნებიან.

ჩვენ კი ასე თავ კამოდებით ერთგულად ვიბრძვით და ვწუდებით ბრძოლის ველზე. ამ დროს კი „სხვისი ბამბა ჩხრიალებს და ჩვენი კაკალიც კი არა.“ მაგრამ შორს ჩვენგან სასოწარკვეთილება! ჩვენ მტკიცეთა გვწამს, რომ დაჭარავს წამი და სამართლე თავისას კაიტანს,.. ჩვენ მხარეზედაც ამოვა მზე... და მაშინ კი „ვაი თქვენ „მწიგნობარნო და ფარისეველნო!“.

იასე რაჭველი

შარადა

მდინარე არის ქუთაისს
გიჟმაჟი, გასაკვირია,
მის სამ მარცვლოვან სახელის
ბოლო ნაწილი გვჭირია;
თანვე გთხოვთ ერთად მოვნახოთ
სიტ.ხლის მწოველი მწერია,
(მის მოსახელეს შარადა
მრავალჯერ დაუწერია);
მახსოვს დიდებულ ჩვენს მწერალს
ერთხელ შეუკრთო ფერია,
თუმც დღეს კი იგი პოეტი
მხოლოდ მიწა და მტვერია.
გაჰყავით იმის სახელი,
თან უთხართ გვკბენო მა რადა?
პირველ ნახევარს უფრთხილდით,
რომ გამოვიცნოთ შარადა;
მაგრამ ჯერ კიდევ სხვაც გვინდა,
ყური დამიგდეთ წყნარადა:
ვინც აღადგინა იესომ,
ეს ყველას გაუგონია,
საღმთო რჯულშია ცნობილი,
არ გაგიძნელდეთ მგონია.
პირველ მესამედს ჩამოსჭრით,
სხვა ჩვენ გვჭირდება არადა
და რომ გათავდეს, მკითხველო,
ჩვენი ადვილი შარადა,
მონახეთ მტერი ქათმების—
არც ორბი, არცა ქორია
სახელისათვის სჭირდება
ხმოვანი ასო ორია.
მისი სახელიც გაჭკვეთეთ,
თავი მიადგეს ბოლოსა,
და წავიკითხავთ, თვის ღვაწლით
ვინც ამკობს საქართველოსა.

ვარდენ ღვანკითელი

ქართული სახიობა

სახალხო სახლში წრემ კ. შათირიშვილის რეჟისორობით 18 ენკენ. წარმოადგინა ი. ბედევნიშვილის ტნობილი დრამა „მსხვერპლი“, 3 მოქ.

1 მოქ. სალიანგო სცენა ძალიან მოისუსტებდა, უდრო-უდროთ გლეხების აღელვება და ყვირილი მაყურებელთ შორის უთანხმოებას იწვევდა. მეორე მოქმედება სულ რომ არ დაედგათ, ემჯობინებოდა: თავ. ნიკოს ასული სონა (ნარაკიძე) აჩრდილივით დადიოდა, თავ სოდომანი (ბეშანოვი) შეუფერებელი გამოდგა, თავ. ნიკო (სვანელი) და ტოდი მისი კნ. ბარბარე (ბარათაშვილი)მხოლოდ ვნახეთ,რომ იხსენიებოდენ. წარმოდგენის საერთო ნაკლი გამოისყიდა მესამე მოქმედებამ. აქ შეუდარებელი იყო ქ-ნი დავითაშვილი (ნატო), ბევრი მაყურებელიც აატირა თავის გრძნობიერი თამაშით. მართლაც რომ იგი ამ ტიპის შემქმნელია. არა უჭირდარა სახანაშვილსაც (გიგო ტეტიაშვილი), ცდიობდა სრულიად გადმოეტა გიგოს ტიპი. მშვენიერი იქნებოდა ჯაბური (ვანო) რომ ერთი საუკეთესო მონოლოგი მადა არ დაეწყო. დიდის დაკვირვებით შესრულა თუხარელმა მიხეს როლი, ნ. გოცირიძე (სქო) და ა. კამერელიძე (გაბუა) ბიესის გვირგვინები იყვნენ.

თეატრი გაჭედილი იყო ხალხით, ბევრიც უბიდეთობის გამო სახლში დაბრუნდა. **სოსო**

ოჩემჩირეს ქართველობა, განსაკუთრებით ქალები, გადაგვარების გზას დასდგომია. ქართული თეატრი აქ დიდს საქმეს გააკეთებდა, ხალხში თვითცნობიერებას შეიტანდა, მაგრამ სად არის?

აქ უმეტესობა—ქართველობაა და, მაშასადამე ქართველი ქალებიც ბლომად არიან. ამათში ბევრია როგორც ნასწავლი, ისე უსწავლი, მაგრამ არც ერთი მათგანი ქართულს თითქმის არ კადრულობს,—ყველანი პარუსკობენ და ზოგიერთა დამტვრეული რუსული ხომ მთლად აგაწითლებს ადამიანს. ამდენ ქალში არც ერთი არ არის დაინტერესებული რაიმე კულტურული საქმიანობით, მათ არაფერი აინტერესებთ, გარდა ფუქსავატად დრ ოსტარებისა.აქაურმა ახალგაზდობამ რამდენჯერმე მოისურვა წარმოდგენის გამართვა,მაგრამ ყოველივე ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა ქალთა გულგრილობის გამო. განსაკუთრებით გაუგებარია ეგრედ წოდებულ „განათლებულ“ ქალების საქციელი.—სცენაზე გამოსვლა სირცხვილიაო და მთელი დღეს-კი ისე ატარებენ, რომ რც მტერს არკიან და არც მოყვარეს.ნუ თუ იქამდის ვერ ამაღლდებიან,რომ ცრუმორწმუნოების ქსელი გაარღვიონ და შეგნებით ჩაებნენ მამაკაცებთან ერთად კულტურულ საქმეში ხალხის საკეთილდღეოდ?

ამ საშინელ ნგრევა-შენების დროს, როგორშიაც ჩვენ ვცხოვრობთ. ყველა ვალდებულია ერთი აგური მაინც მიაწოდოს ერის დაწინაურების მუშაკთ, თუ ჰსურთ ცხოვრების ზედმეტ ბარგად არ ჩაითვლნენ.

ჩიტ—ია

სოფ. ლესაში (გურია) 8 ენკენ. ადგილობრივ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოდ ბ. ჩარკვიანისა და ლ. სარელის მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნა „პატარა კახი“. ჩარკვიანმა საუცხოვოდ შეასრულა ბრმა გელას როლი და ლ. სარელიც (გივი) თავის ალაგას იყო. ქ-ნი ელ. გიგინეიშვილი პატარა კახის როლს ძლიერ დაკვირვებით ასრულებდ, როლიც კარგად იცოდა, მაგრამ შეუფერებელი ხმა და კისერზე ჩამოყრილი თმა(რომელიც აშკარად ღაღადებდა მის დედაკაცობას მამა-კაცის ტანისამოსში)ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებდა. კარგები იყვნენ ბ-ნი ბარ. შარაშიძე (ლევან) და ქ. ჩიტო ჯორბენაძე (ელენე), შეუფერებელი იყო ბ-ნი აგიაშვილი რევაზის როლში. მასწ. ცენტერაძეს (მეფე) შესაფერისი მიხვრა-მოხვრა ჰქონდა, მაგრამ როლის უცოდინარობა ძლიერ უშლიდა ხელს. როლის უცოდინარობა ქ-ნ სეფ. ანთელიძესაც (დედოფალი) ემჩნეოდა, მაგრამ როგორც გარეცდილ სცენის მოყვარეს, არა უშავდა. ნიკო დობორჯგინიძეს (ბაადურ) ხანდახან ავიწყდებოდა თავისი სიკუტე, სხვები ანსამბლს ხელს უწყობდნენ. გამგეებს დიდი შრომა გაეწიათ წარმოდგენის მოწყობაზე, მაგრამ ცოტა წეს-რიგიც რომ დაეცვათ—კარგი იქმნებოდა. დიდი უწესრიგობა გამოიწვია ზედ-მეტი ბილეთების გაყიდვამ, ქანდარის ხალხი წინა რიგში ფეხზე იდგა, საშინელი ხმაურობა და უადგილო სიცილიც ხელს უშლიდა წარმოდგენის მსვლელობას. ყველაზე მეტად გაგვაკვირვა კერძო პირების სცენაზე სეირნობამ, ყველა ამაებს კი იმით ვხსნით, რომ ს. ლესაში პირველად გაიმართა ასეთი წარმოდგენა და მადლობის მეტი არა ეთქმის რა ამ საქმის ინიციატორებს. განსაკუთრებული მადლობის ღირსია ბარნაბე შარაშიძე, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევს ამ სოფლის ყველა სიმპატიურ დაწესებულებას. სასურველია სხვა ინტელიგენტებიც მიბაძავდნენ მის მაგალითს. **გოგაბურელი**

დ. ხაშურში 30 აგვ. ვ. ხოსტრიშვილის საბენეფისოდ წარმოადგინეს „ამ დროის გმირები“ ალ. ბაკრაძისა. მობენეფისემ ვასოს როლი უნაკლულოდ შეასრულა, შესაფერისნი იყვნენ ნ სიხარულიძე (ჯაგლაგა), ნ. ყაჭიეშვილისა (ელისაბედი) და ქ. კალაძე (ნინა). ბ-ნ კორძაიას (იმერელი) როლის უცოდინარობა ეტყობოდა. ბ. ქუთათელაძე (გიორგი) თავის ქერქში ვერ იყო, ბ. ლაზარევმა (მდიდროვი) გველაძუა მოარშიყე ვერ გვიჩვენა. სცენის მოყვარეთ სენად გადაქცევიათ სუფლიორისკენ ცქერა, რაც არ ვარგა. ბოლოს მობენეფისე დაასაჩუქრეს სხვა და სხვა ნივთებით.

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს პარტერს, რომ უდროოდ გასვლა-შემოსვლით ხმაურობა არ იყოს, სმენის შესალახად **ალი-ძამია**

ს. ნაგარევში 30 აგვ. გაიმართა ზ. ფიფ-ფასიანი წარმოდგენა მომავალი სკოლის სასარგებლოდ, ელისე პატარიძის მეთაურობით და გ. ჩარკვიანის რეჟისორობით. წარმოდგენილ იქმნა „ბატონი და ყმა“ დრ. 3 მოქ. შ. დადიანისა. და „უბედური დღე“, 1 ვოდ. 1 მოქ ვ. ბალანჩივაძისა. გ. ჩარკვიანმა დიდი შრომა დასდო ამ წარმოდგენას: მოთამაშენი ისე შეთანხმებით თამაშობდენ, რომ დამსწრენი განცვიფრებაში მოიყვანეს.

წარმოდგენის დაწყებამდე ელ. პატარიძემ ხალხს გააცნო პიესის შინაარსი. შემდეგ დაიწყო წარმოდგენა. მონაწილეობდენ „ბატონ და ყმა“-ში: მ. ლორთქიფანიძე (დათიკო), ვ. კ. პატარიძე (ბიძინა), დათ. ყიფიანი (მუშა), ა. კაპანაძე (თამრო), გ. ჩარკვიანი (პეპია), ა. ვასაძე (ალბრო), ს. ლორთქიფანიძე (გიტო).

„უბედურ დღეში“ კ. პატარიძე (ამაყაძე), ს. კუპრაშვილისა (ვარდო), დათ. ყიფიანი (გოგია), ა. კაპანაძე (მატრონე), გ. ჩარკვიანი (ყობო). უამინდობის გამო ხალხი ცოტა დაესწრო. დრამამ დამსწრე საზოგადოებაზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა, ვოდევილმა—ბევრი აცინა. **კუკური**

წვრილი ამგები

დრამ. ი. გედევანიშვილმა ქუთაისის დასის მესვეურს შალვა დადიანს ნება მისცა, ქუთაისის სცენაზე დასდგას „სინათლე“ იმ პირობით-კი, რომ ჰონორარი ქართული თეატრის სალმშენებლო თანხის გასაძლიერებლად გადასცეს.

ქუთაისის დასის პირველი წარმოდგენა ხუთშაბათისათვის, 1 ოქტ., არის განზრახული.

ქართ. დრამ. საზ-ის კრება მოხდება ამ მოკლე ხანში სეზონის შესახებ მოსალაპარაკებლად.

მეტეხის ციხიდან გაანთავისუფლეს ს. ჯიბლაძე, ნ. ხომერიკი და ნ. ტუმბურიძე.

ხარფუხის კლუბმა საზამთროდ ახალი შენობა დაიქირავა („აპოლოს“ ყოფილ დარბაზის), შეალამაზა და სცენა გადააკეთა. დარბაზი რამდენიმე განყოფილებისაგან შესდგება, დიდია და ყოველმხრივ მოწყობილი.

ხაშურის რკინის გზის საკრებულოში 27 ენკენ. ცნობილი მომღერალი ენ. ბროჯი კონცერტს გამართავს ახალგაზდა მომღერალის—დ. დ. ლეკავას და სკრიპკაზე დამკვრელ ნ. ა. ბაქრაძის მონაწილეობით.

ხაშურის დრამ. წრის გამგეობის კრება ამ დღეებში მოხდება.

სად გოლში დროებით შეაჩერეს ქართ. წარმ. მართვა შესაფერი შენობის უქონლობის გამო. განზრახულია საკუთარი შენობის აგება.

დ. ბოლგზოლმის ქართ. სცენის მოყვარეთა წრე 27 ენკენ. სდგავს „უმუშევარნი“-ს.

ელი ჩერკეზმა—ელენე ჩერქეზიშვილმა, პარიზის თეატრის ცნობილმა მსახიობქალმა, ქართული თეატრის ასაგებ თანხის გასაძლიერებლად 25 მან. შესწირა შემდეგი სურვილით „დავაჩქაროთ ქართული თეატრის აგება.“

სცენის მოყვარე ინაშვილი გარდაიცვალა. სურათი შემდეგ.

გ. ტაბიძის სალამოზ—„საქართველოს ყვავილებმა“ დიდძალი საზოგადოება მოიზიდა. გ. ტაბიძეს ყვავილები მიართვეს, დაწვრილებით შემდეგ.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

Дозволено Военной Цензурой

ხარფუხის საზ. კლუბი

მიხეილის ბრ. № 131

საუცხოვო საზაფხულო როტონდით, სცენით და მშვენიერი, ელოქტრონით განათებული ბაღით.

შაბათს 26 ენკენ. **თათრული ოპერეტა**

კვირას 27 ენკ. **სიმფონიური კონცერტი** პრესმანის ლოტბარობით.

ორშაბ. 28 ენკ. **საზანდარი. სინემატოგრაფი**

სამშ. 29 ენკ **სინემატოგრაფი ორკესტრი**

ოთხშაბათს 30 ენკენ. **ქართული წარ.**

ხუთშ. 1 ღვინობისთვე, **საზამთრო შენობაში გადასვლა: საოჯახო საღამო, საკონცერტო განყოფილება**, პრესმანის ლოტბარ.

პარასკევს 2 ღვინ. **სინემატოგრაფი. საზან.**

შაბათს 3 ღვინ. **ქართული ოპერეტა, სიმებიანი ორკესტრი**, პრესმანის ლოტბარ.

კვირა, 4 ღვინ. **სინემატოგრაფი, საზანდარი, სიმებიანი ორკესტრი** პრესმანის ლოტ.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

შესავალი ფასი: მამაკაცნი იხდიან,—30 კ. ქალები და სტუდენტები—20 კ. წარმოდგენა იწყება 9 საათზე, სინემატოგრაფი—$8^1/_2$ ს., საბავშვო საღამო—5.—9 ს.

Типографія „Сорапань“ სტამბა „სორაპანი“